„ვამტკიცებ”

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

1 მაისი 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისთვის 2008-2009 წლებში დაბადებულთა შორის (აღმოსავლეთ საქართველო)

2024 წელი
25-26 მაისი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი

- ძიუდოისტთა შერჩევა 2008-2009 წლებში დაბადებულთა სარეიტინგო ტურნირებისთვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2008-2009 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები აღმოსავლეთ საქართველოდან, რომელთაც არ მოუპოვებიათ სარეიტინგო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია წინასწარი გამოცდების ჩაბარება ძიუდოს საწყისებში. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია მონაწილეს ჩარიცხული ჰქონდეს საწევრო გადასახადი 100 (ასი) ლარი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. რის შემდეგაც ძიუდოისტს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- [დებულება საწევროს შესახებ]
  [საწევროს სარეგისტრაციო ფორმა]
  [საბანკო ანგარიში] - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების ადგილი, დრო, რეგისტრაცია და კენჭისყრა,

- შეჯიბრება ჩატარდება 25-26 მაისს თბილისში, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 24 მაისი, წასვლის დღე – 27 მაისი.
  შეჯიბრების დასაწყისი: 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gif.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2024 წლის 21 მაისამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 22 მაისს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო);
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში.
  -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ,
  25 მაისი: -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ.
  26 მაისი: -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ.
- **P.S.** რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.

- შეჯიბრებაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები.

VI. აწონვა

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების ჩატარების ადგილზე შეჯიბრების წინა დღეს.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;

ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ზურაბ უსუფაშვილი 577994407.

ფინანსური საკითხები: ინგა რაზმაძე 577994420, ქეთი მიხელიძე 558132632.

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- ძიუდოისტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი — გიორგი ათაბეგაშვილი